თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 13

ქ. თერჯოლა 01.11. 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გრიგოლ გიორგაძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282230419, 31.10.2022 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282229319, 20.10.2022 წ.).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 80.0 ათასი ლარით და შეადგენს 29614.1 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 110.0 ათასი ლარით (გრანტი სატენდერო ეკონომიები).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 190.0 ათასი ლარით: გრანტი (ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (რგფ-190.0 ათასი ლარი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 270.0 ათასი ლარით. საკრებულოს ხარჯი შემცირდა 38.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 62.0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 12.0 ათასი ლარით. გარე განათება შემცირდა 38.0 ათასი ლარით. გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია შემცირდა 120.0 ათასი ლარი: სოფ. ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 54.1 ათასი ლარი (რგფ- 44.1 ათასი ლარი და ადგილობრივი 10.0 ათასი ლარი). ძევრში ჩხარი-ეწერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 5,7 ათასი ლარი(რგფ) .ქ. თერჯოლაში ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია 8.7 ათასი ლარი (რგფ). სოფ. ბარდუბანში სათემოს უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 31.6 ათასი ლარი (რგფ) .ქ. თერჯოლაში მაჩიტიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 20.0 ათასი ლარი (რგფ).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 350.0 ათასი ლარით, მ/შორის:

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია გაიზარდა 200.0 ათასი ლარით ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (რგფ-190.0 ათასი ლარი და ადგილობრივი 10.0 ათასი ლარი).

ა(ა)იპი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 130.0 ათასი ლარით.

საციალური დაცვა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ, გოჩა ვერულაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი